



ვებგვერდი

05/12/2014

სარეგისტრაციო კოდი

010250040.35.152.016204

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №40

2014 წლის 5 დეკემბერი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილი იქნეს ცვლილება დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N11 დადგენილებით დამტკიცებულ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში(სსმ 18/07/2014, ს/კ 010250040.35.152.016175). კერძოდ, რეგლამენტის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხარჯების დათვლის პრინციპი:

ა)საკრებულოს, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების სხდომებზე დასასწრებად გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხდება თვეში მაქსიმუმ 10 სხდომაზე დასწრებისათვის, თითოეულზე 50 ლარის ოდენობით. ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება საკრებულოს, საკრებულოს კომისიების/ფრაქციების სხდომებში მისი მონაწილეობის ამსახველი ჩანაწერები.“

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი